ვაკანსიაზე კანდიდატის შესაბამისობის დადგენის მიზნით **შპს „ორიენტ ლოჯიკი“** პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნათა დაცვით ახორციელებს კანდიდატის პერსონალური მონაცემების (საჭიროების შემთხვევაში მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების, ასეთის არსებობის/საჭიროების შემთხვევაში) დამუშავებას.

აღნიშნულ ვაკანსიაზე განაცხადის (რეზიუმეს) გამოგზავნით ადასტურებთ, რომ თანახმა ხართ და თქვენთვის ცნობილია, რომ **შპს „ორიენტ ლოჯიკმა“** განახორციელოს თქვენს მიერ მოწოდებული პერსონალური მონაცემების (მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების ასეთის არსებობის/საჭიროების შემთხვევაში) დამუშავება თქვენთან სახელშეკრულებო, მათ შორის შრომითი ურთიერთობის დამყარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნებისთვის როგორც წინამდებარე ვაკანსიის ფარგლებში, ასევე სამომავლო ვაკანსიებთან მიმართებითაც.

გაცნობებთ, რომ მიმდინარე ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, კანდიდატის შესახებ ინფორმაცია **შპს „ორიენტ ლოჯიკში“** ინახება არაუმეტეს 06 თვის ვადით ხოლო თუ აპლიკანტი თავისი სურვილით აგზავნის კომპანიაში თავის რეზიუმეს დამსაქმებლის მხრიდან მისი კანდიდატურის პოტენციურად დაინტერესების შემთხვევაში, მისი გამოგზავნიდან 1 წლის განმავლობაში. სააპლიკაციო მონაცემების დამუშავებისას ამ ეტაპზე კომპანია არიყენებს მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის მომსახურებას.

რეგისტრაციისას ინფორმაციის მოწოდება სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოვახდენთ თქვენი განაცხადის განხილვას.

პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით, პრინციპებით და წესით

თქვენ როგორც მონაცემთა სუბიექტს საქართველოს კანონით პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ გაქვთ შემდეგი უფლებები: თქვენი პერსონალური (მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების) ინფორმაციის მიღების უფლება, მონაცემების გაცნობისა და ასლის მიღების უფლება; მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება; მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება; მონაცემთა დაბლოკვის უფლება; მონაცემთა გადატანის უფლება; თანხმობის გამოხმობის უფლება; გასაჩივრების უფლება.

იმ შემთხვევაში, თუ არ გსურთ ორგანიზაციის მხრიდან მონაცემთა შემდგომი დამუშავების განხორციელება, ან გსურთ მოწოდებული მონაცემების ცვლილება ან წაშლა, ასევე გსურთ თქვენი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით მონიჭებული სხვა უფლებების რეალიზება გთხოვთ, მოგვმართოთ დამატებით ორგანიზაციის მისამართზე იურ მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვ. გოძიაშვილის ქ., N71; ალტ მის: ქ. თბილისი, გ. დანელიას ქ. N4, ტელ: +995 (032) 2 54 18 18; ელ. ფოსტა: Info@ol.ge.

**შპს „ორიენტ ლოჯიკს“** ყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელსაც მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მიმართოს მისი პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული უფლებების რეალიზების მიზნით, კერძოდ მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, მის მეილზე წერილობით ოფიცერი მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნაზე, მიმართვიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში გასცემს პასუხს, ოფიცრის მონაცემები: - გიორგი შერმადინი, საკონტაქტო მეილი legal@safco.ge, ტელ 511 155 154.

მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ გაეცნოთ კომპანიის კონფიდენციალურობის პოლიტიკას.